გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 54

2019 წლის 11 მარტი

ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, განიხილოს გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, გორის მუნიციპ0ალიტეტის სოფელ ახალხიზისთვის ძველი სახელწოდების- „ბეთლემის“ აღდგენის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ სახელდების თაობაზე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტისთვის ძველი სახელწოდების აღდგენა ან გადარქმევა ხორციელდება თუ წარსულში საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება დროთა განმავლობაში მივიწყებული ან დაკარგულია, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალხიზასთვის სახელის გადარქმევა და ძველი სახელწოდების "ბეთლემი"-ს აღდგენა, რომელიც მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის საზღვრების გარდატეხის წერტილების კოორდინატებია: X418009.57; Y4649243.76; X417744.383; Y4649149.248; X417512.435; Y4648804.738; X417656.968; Y4648471.759; X418128.793; Y4648066.718; X418172.699; Y4648142.18; X418323.623; Y4648214.898; X418163.094; Y4648338.381; X418415.549; Y4648412.471; X418935.552; Y4648540.071; X418912.276; Y4648677.001. ჩრდილოეთით ესაზღვრება სოფელი „სკრა“ შემდეგი კოორდინატებით: X 417512.435; Y4648804.738; X418009.57; Y46492443.76. სამხრეთით ესაზღვრება სოფელი კოშკები შემდეგი კოორდინატებით: X 418128.793; Y4648066.718. აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი „ოლოზი“ შემდეგი კოორდინატებით: X418128.793; Y4648066.718; X418912.276; Y4648677.001. დასავლეთით ესაზღვრება სოფელი „რიეთი“ შემდეგი კოორდინატებით: X417512.435; Y4648804.738; X418172.699; Y4648142.18.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ“ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 27 დეკემბრის №13 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. გორის მუნიციპალიტეტის , სოფელ „ახალხიზას“, რომლის საზღვრების გარდატეხის წერტილების კოორდინატებია: X418009.57; Y4649243.76; X417744.383; Y4649149.248; X417512.435; Y4648804.738; X417656.968; Y4648471.759; X418128.793; Y4648066.718; X418172.699; Y4648142.18; X418323.623; Y4648214.898; X418163.094; Y4648338.381; X418415.549; Y4648412.471; X418935.552; Y4648540.071; X418912.276; Y4648677.001. ჩრდილოეთით ესაზღვრება სოფელი „სკრა“ შემდეგი კოორდინატებით: X 417512.435; Y4648804.738; X418009.57; Y46492443.76. სამხრეთით ესაზღვრება სოფელი კოშკები შემდეგი კოორდინატებით: X 418128.793; Y4648066.718. აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი „ოლოზი“ შემდეგი კოორდინატებით: X418128.793; Y4648066.718; X418912.276; Y4648677.001. დასავლეთით ესაზღვრება სოფელი „რიეთი“ შემდეგი კოორდინატებით: X417512.435; Y4648804.738; X418172.699; Y4648142.18, აღუდგეს ძველი სახელწოდება -- „ბეთლემი“.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **მარლენ ნადირაძე**